საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N --02-05/39--

ქ. ბათუმი 22 მარტი, 2018 წ.

,,უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 18 ივლისის N02-05/101 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე მუხლების, ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის 2018 წლის 21 მარტის სამსახურებრივი ბარათის (N314095) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის N02-05/101 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,2. უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წესით გათვალისწინებული კითხვარები: ,,თქვენი შეხედულებით რა არის პრიორიტეტული უნივერსიტეტში“ (ფორმა 1) და ,,უნივერსიტეტის მენეჯმენტის შეფასება“ (ფორმა 2) ბსუ-ს პერსონალის მიერ შევსებული იქნეს ელექტრონულად (ბმულების მეშვეობით: პრიორიტეტები - https://goo.gl/forms/KOxM1Vzn1AuYYs1s1; მენეჯმენტის შეფასება - https://goo.gl/forms/7BTcnonBGgENZWJX2) არაუგვიანეს 2018 წლის 26 მარტისა, ხოლო გამოკითხვის შედეგების შესახებ ინფორმაცია ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის.“
2. წინამდებარე ბრძანების პერსონალისათვის გაცნობა უზრუნველყოს შესაბამისმა სტრუქტურული ერთეულის უფროსებმა.
3. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პასუხისმგებელ პირებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ,

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი **გურამ გვარიშვილი**